პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 ნოემბერი ხუთშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 275 (15488)

ხუთწლედი — ვაკადემიე!

საიუბილეო ვაჩვი

საქართველოს სსრ რესპუბლიკის მეცხოველეობა-ფრინველეობა სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულებანი

საქართველოს სსრ რესპუბლიკის მეჭარხლეებმა, რომლებიც ასრულებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს და იბრძვიან სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, მიმდინარე წელს მოიყვანეს შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი, ორგანიზებულად აიღეს იგი და შეასრულეს სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულებანი.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შაქრად გადამუშავებისათვის ჩააბარეს 126 ათასი ტონა ჭარხალი.

სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის მიყიდვა გრძელდება.

ენერგეტიკა — მთაში

დიდი ენერგეტიკა გაბედულად მიიწევს საქართველოს მაღალმთიან რაიონებში. იქმნება მყარი ბაზა სოფლების მთლიანი ელექტრიფიკაციისათვის. დამპროექტებელთა და მშენებელთა დიდი გამარჯვებაა ახლახან **მლეთი-ყაზბეგის 110-კილოვოლტიანი ხაზის და ქვესადგურის მშენებლობის დამთავრება,** რითაც ყაზბეგის ქვესადგურში იზოლირებულად მომუშავე მცირე სიმძლავრის ყაზბეგჰესს და სნოჰესის ნაცვლად შეიქმნა მძლავრი ელექტროქსელი. აქედან ელექტროენერგიას მიიღებენ საქართველოს სამხედრო გზაზე განლაგებული ტურისტული ბაზები, სასტუმროები, სოფლების მოსახლეობა.

მლეთი-ყაზბეგის ელექტროგადამცემი ხაზის და ქვესადგურის პროექტი შეადგინა საკავშირო საპროექტო-საძიებო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის „ენერგოქსელპროექტის“ საქართველოს განყოფილებამ (დირექტორი ი. კემულარია, მთავარი ინჟინერი რ. ებრალიძე). სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულა ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ № 54 მექანიზებულმა კოლონამ (უფროსი ლ. კალანდაძე, მთავარი ინჟინერი გ. წულუკიძე).

მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი და ქვესადგური კარგი საიუბილეო საჩუქარია ყაზბეგის რაიონის მშრომელებისათვის.

ვ. თოფურია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა

22 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

სხდომაზე მიწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრები, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები, საქართველოს ალკკ საოლქო კომიტეტების მდივნები, სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავენი, სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკები, რესპუბლიკის შემოქმედებითი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები.

ინფორმაცია — „თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნისა და თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის შრომითი კოლექტივების, ხუცუბნის (ქობულეთის რაიონი) და ტყვიავის (გორის რაიონი) სასოფლო საბჭოების ინიციატივა — ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, იბრძოლონ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის, ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების გამოვლინებათა წინააღმდეგ“ — გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. ჯავახიშვილმა.**

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ: თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ზეინკალი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი **ვ. პაპინაშვილი,** საქართველოს კომპარტიის ვანის რაიკომის პირველი მდივანი **გ. ყიფიანი,** თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი **ი. ხვედელიანი,** სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **გ. ბაჯელიძე,** საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი **ნ. გურგენიძე,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ე. ხარაძე,** საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **ვ. კვარაცხელია,** საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი **ი. ხარატიშვილი,** ტყვიავის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე **კ. რაზმაძე,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი **ვ. ბაქრაძე,** ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე **ა. საპოჟნიკოვი,** ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსი **გ. ქადაგიძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი **პ. გილაშვილი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **ა. ჩურკინი.**

სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. შევარდნაძემ.** (საქინფორმი).

გაეკიაღლიმ სოციალისტური შეჯიბრება

მეცხოველეობა დაემკვრელური ფრონტია

ჩვენი ახალი ვალდებულებანი

მხოლოდ რენტაბელური

სამკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს ახალ დადგენილებას 1972-1973 წლის ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ ჩვენ ჯუპასუხებთ ასეთი ვალდებულებით: წლის ბოლოდგე წლიური გეგმის გადამეტებით თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღებთ 220 ლიტრ რძეს, 1973 წლის პირველ ნახევარში — 1.100 ლიტრ რძეს ნაცვლად 800 ლიტრისა, ამასთან უზრუნველვყოფთ პირუტყვის სულადობის ზრდას.

ვალდებულების შესასრულებ ლ ად მთავარია პირუტყვის ნორმალური გამოზამთრება. ამისათვის ყოველმხრივ ვართ მზად. ფერმებთან საკმაო რაოდენობით მოზიდულია თივა, ჩალა და სხვა საკვები. პირუტყვის სადგომი შეკეთებულია, არის ყველა პირობა ზამთარშიც გავზარდოთ წველადობა, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

ნ. ებრალიძე.
ლანჩხუთის რაიონის ზემო აკეთის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე.

ჩალდება სოციალისტური შეჯიბრება. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. ამ მხრივ ჩვენი კოლმეურნეობის წევრები ყველაფერს იღონებენ ამისათვის, რომ სოციალისტურ შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები სასახელოდ შეასრულონ.

კოლმეურნეობის წევრებმა რაიონში სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის ძიყიდვის წლიური გეგმა პირველებმა შეასრულეს, ახლა სახელმწიფოს ყოველდღე გეგმის გადამეტებით აძლევენ მეცხოველეობის პროდუქტებს.

ახლა შეჯიბრებაში ვართ ჩაბმული იმისათვის, რომ ზამთარშიც არ შევამციროთ წველადობა. პირუტყვი კარგად გამოვაზამთროთ, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის 1973 წლის პირველი ნახევრის გეგმა შევასრულოთ 15 მაისისათვის, მეცხოველეობას გავზდით რენტაბელურს.

ნ. ამირანაშვილი,
წყალტუბოს რაიონის გუმათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობების მეცხოველეობის ფერმის გამგე.

● ინიციატორთა მაგალითით

სადაც არ უნდა მუშაობდეს ვალერიან ალექსიშვილი (სურათზე მარცხნივ) — კომბაინის საჭესთან პურის მკისას, თესვისას ტრაქტორის საჭესთან, ხვნის დროს ანდა ვენახების მწკრივთაშორისი დამუშავებისას — ყველგან, საგარეჯოს მეგოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში ის მოწინავეთა რიგებშია. წაფხულში მან 350 ჰექტარიდან 6200 ცენტნერი ხორბალი გალეწა. ამ ცოტა ხნის წინ წარმატებით დაამთავრა საშემოდგომო თესვა, ამ დღეებში კი გამომუშავების ნორმების გადაჭარბებით წარმატებით აწარმოებს მექანიზებულ სამუშაოებს მეურნეობის მინდვრებსა და პლანტაციებში.

ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის ცხრა თვის დავალებები კარგი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა. რეალიზებულია 155 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. 1972 წლის ასორტიმენტის ატესტაციის გატარების შემდეგ 45 მოდელიდან ხუთმა უმაღლესი კატეგორია მიიღო, ხოლო დანარჩენმა — პირველი.

სურათზე: მარჯვნივ — კომბინატის მოწინავე მუშა, კომკავშირელი **მარინე ჰელიძე.**

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ახალმშენებლობებზე

ჭირნახულსაცავი კომბინაჯი ლილოში

თბილისისა და რუსთავის მშრომელებს ფლის ყოველ დროს ხილ-ბოსტნეული რომ ჰქონდეს

სულ უფრო მატულობს მშრომელთა მოთხოვნილება ისეთ პროდუქტებზე, როგორიც არის კარტოფილი, ხილი და ბოსტნეული. ამასთან ამ პროდუქტებით მშრომელები უნდა მარაგდებოდნენ წლის ყველა დროს. ამისათვის კი საჭიროა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილი საცავები, სადაც იქნება ყველა პირობა იმისათვის, რომ ჭირნახული ხანგრძლივი დროის მანძილზე ინახებოდეს გაუფუჭებლად.

კარტოფილისა და ხილბოსტნეულის შესანახად ჩვენი დედაქალაქის აღმოსავლეთით, სადგურ ლილოსთან შენდება „საქხილბოსტანგაჭრობის“ ხილ-ბოსტნეულის კომბინატი, რომლის ჭერქვეშ თბილისისა და რუსთავის მშრომელებისათვის შეინახავენ 72.000 ტონა ჭირნახულს.

ამ მშენებლობასა და მის მომავალზე „კომუნისტის“ მკითხველს ესაუბრება მშენებარე კომბინატის დირექტორი **მახტანგ კასაბაშვილი.**

კომბინატის მშენებლობა, რომელსაც ოცდასამი ჰექტარი უჭირავს, **ერთი** შეხედვით თითქოს არც ისე რთული უნდა იყოს. მაგრამ როცა ეცნობით მის საპროექტო მონაცემებს, რწმუნდებით, რომ იგი ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი დიდი ნაგებობა იქნება. ეს ორი გრძელი კორპუსი, რომლებიც ზოგან გადახურულია, ზოგან კი კედლები მხოლოდ ახლა შენდება, ძირითადი ნაგებობანია. სწორედ ამ კორპუსებში შეინახება კარტოფილი და ხილ-ბოსტნეული. ამ კორპუსების სასარგებლო ფართობი 28 ათასი კვადრატული მეტრი იქნება. პირველ კორპუსში შეინახება 40 ათასი ტონა კარტოფილი, ხოლო მეორეში — 32 ათასი ტონა ხილი და ბოსტნეული. კარტოფილი, ხახვი, კომბოსტო და სხვა ბოსტნეული კონტეინერებით შეინახება, ხოლო ხილი — ყუთებით.

ჭირნახულის კომბინატს აშენებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „ამერკავკასიის მეტალურგმშენის“ (მმართველი ვ. მანჯგალაძე) მეხუთე სამშენებლო სამმართველო, რომელსაც ი. რუხაძე ხელმძღვანელობს. მშენებლობის უბნის უფროსობა მინდობილი აქვთ მშენებლებს კობა კობაიძესა და ილია ჯიქიას. სამშენებლო პროექტი შეიმუშავეს სრულიად საკავშირო ინსტიტუტ „სახვაჭრობპროექტის“ საქართველოს ფილიალში (მმართველი თ. ფოცხიშვილი, პროექტის მთავარი ინჟინერი მ. შახბაზიანი).

მშენებლობაზე 29 მილიონ 600 ათასი მანეთი დაიხარჯება. კომბინატის მშენებლობის პირველი რიგი (40 ათასი ტონის ტევადობით) 1974 წელს უნდა შესულიყო ექსპლოატაციაში, მაგრამ ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით დაწესდა, რომ პირველი რიგის გასაშვები მინიმუმი (16.000 ტონის ტევადობისა) დამთავრდეს მომავალი წლის 1 სექტემბრისათვის, რაც საშუალებას მოგვცემს მომავალ წელსვე საკმაო რაოდენობით შევინახოთ ჭირნახული.

რედაქციისაგან:

გ ა ზ ე თ „კ ო მ უ ნ ი ს ტ ი ს“ რ ე დ ა ქ ც ი ა მ ჭ ი რ ნ ა ხ უ ლ ი ს კ ო მ ბ ი ნ ა ტ ი ს მ შ ე ნ ებ ლ ო ბ ა ზ ე შ ე ქ მ ნ ა ს ა გ უ შ ა გ ო, რ ო მ ე ლ ი ც ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ კ ო ნ ტ რ ო ლ ს ა დ ა მ ე თ ვ ა ლ ყ უ რ ე ო ბ ა ს გ ა უ წ ევ ს მ შ ე ნ ებ ლ ო ბ ა ს. მ შ ე ნ ებ ლ ო ბ ი ს მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა რ ე გ უ ლ ა რ უ ლ ად გ ა შ უ ქ დ ებ ა გ ა ზ ე თ ი ს ფ უ რ ცლ ებ ზ ე.



ა ი ა ს ე გ ა მ ო ი ყ უ რ ე ბ ა ა ხ ლ ა ლ ი ლ ო ს ხ ი ლ ბ ო ს ტ ნ ე უ ლ ი ს კ ო მ ბ ი ნ ა ტ ი ს მ შ ე ნ ებ ლ ო ბ ი ს ე რ თ ი კ უ თ ხ ე.

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

საბჭოთა კავშირ-იემენის მოლაპარაკება

21 ნოემბერს კრემლში დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ა. ნ. კოსიგინის,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის **ბ. ნ. პონომარიოვის,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის **ა. ა. გრომიკოს** მოლაპარაკება იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან, რომელსაც მეთაურობს იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საპრეზიდენტო საბჭოს თავმჯდომარე, ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილე **სალემ რუბეია ალი.**

მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში განხილულ ორმხრივი სახელმწიფო ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ურთიერთობის საკითხები, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალური საერთაშორისო პრობლემები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არაბეთის სამხრეთ ნაწილში შექმნილი მდგომარეობის განხილვას, სადაც ძირგამომთხრელი საქმიანობა გააქტიურეს იმპერიალისტმა და რეაქციამ, ახლო აღმოსავლეთის ვითარების განხილვას, სადაც გრძელდება არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის აგრესია, რომელსაც მხარს უჭერენ მის ზურგს უკან მდგომი იმპერიალისტური ძალები. (საკდესი).

მეგობრულ ვითარებაში

21 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ სადილი გამართეს იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც მეთაურობს პრეზიდენტის საბჭოს თავმჯდომარე, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილე სალემ რუბეია ალი.

იემენის მხრივ სადილზე იყვნენ პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ამხანაგები ა. ნ. კოსიგინი, ა. ტ. ტაზურმანი, ა. ე. შელეპინი, ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სალემ რუბეია ალიმ.

ა. ნ. კოსიგინისა და სალემ რუბეია ალის სიტყვები დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ოფიციალური ვიზიტი გრძელდება

იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საპრეზიდენტო საბჭოს თავმჯდომარე, ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილე სალემ რუბეია ალი, ეწვია ვ. ი. ლენინის მავზოლეუმს და გვირგვინით შეამკო იგი.

დელეგაციამ გვირგვინით შეამკო აგრეთვე უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის კედელთან.

იმავე დღეს იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ეწვია ვ. ი. ლენინის სამუშაო კაბინეტსა და ბინას კრემლში.

საპატიო დამთვალიერებელთა წიგნში სტუმარმა ჩაწერა: ვ. ი. ლენინის სამუშაო კაბინეტი და ბინა ასასავენ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელისა და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის სიდიადეს, ეს არის სკოლა იმათთვის, ვისაც მიზნად გაუხდია ბრძოლა ხალხის ინტერესებისათვის. (საკდესი).

პოლიტგამომცემლობამ გამოუშვა

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა წიგნი „სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია და თანამედროვეობა“. წიგნი დასაბეჭდად მომზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა.

ავტორთა კოლექტივის მიერ დაწერილ მონოგრაფიაში (ხელმძღვანელი პ. ნ. ფედოსეევი). მოცემულია სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის ძირითადი დებულებანი და დასკვნები, ნაჩვენებია მათი წარუვალი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის, აგრეთვე ის, თუ როგორ განვითარეს შემოქმედებითად ეს თეორია საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და მოძმე მარქსისტულ-ლენინურმა პარტიებმა. ავტორები აკრიტიკებენ ბურჟუაზიულ და რევიზიონისტულ ფილოსოფიკაციებს რევოლუციის თეორიის დარგში.

წიგნი გათვალისწინებულია იმათთვის, ვინც მეცნიერული კომუნიზმის პრობლემებს სწავლობს.

(საკდესი).

ჟურნალისტი

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

ᲒᲘᲜᲒᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ

ᲔᲙᲚᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ, 22 ნოემბერი. (საკდესი). ქართული ხალხის ცხოვრებასა და წარმატებებზე, რომლებიც მან მოიპოვა, რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერების და კულტურის განვითარებაზე მოგვითხრობს დღეს გაზეთი „ᲣᲜᲔᲜᲘ“ — მონგოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ორგანო. ერთ-ერთი მოძმე საბჭოთა რესპუბლიკისადმი მიძღვნილ მასალებს მთელი გვერდი უკავია და გამოქვეყნებულია რუბრიკით „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ 50 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ“. გაზეთი ბეჭდავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. ჯავახიშვილის სტატიას „საქართველოს დღეგანდელი და ხვალინდელი დღე“ და საბჭოთა ავტორების მთელ რიგ სხვა მასალებს. თავიანთ შთაბეჭდილებებს რესპუბლიკაში მოგზაურობის, მშრომელებთან შეხვედრის, დღევანდელი თბილისის შესახებ უზიარებს მკითხველს მონგოლი ჟურნალისტი ტ. იუმსურენი.

საბჭოთა საქართველოსადმი მიძღვნილი „უნენის“ გვერდი უხვად არის ილუსტრირებული ფოტოსურათებით, მოყვანილია მოკლე მონაცემები ამიერკავკასიის ამ რესპუბლიკის ცხოვრების სხვადასხვა მხარის შესახებ.

ᲓᲐᲛᲝᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ. 22 ნოემბერი. (საკდესი). აქ მუშაობა დაამთავრა რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

პლენუმის მონაწილეებმა მოიწონეს რუმინეთის ეკონომიური და საზოგადოებრივი განვითარების „1973 წლის გეგმის პროექტი, მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და განიხილეს სხვა საკითხები.

პლენუმმა მიიღო წინადადებანი ხუმაზრო პარტიული კომიტეტების, ხუმაზრო სახალხო საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესების, აგრეთვე პარტიული და სახელმწიფო კონტროლის სრულყოფის შესახებ.

პლენუმი მიესალმა მმაჯალმხრივ კონსულტაციებს უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მომზადებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საჭიროა რუმინეთის აქტიური მონაწილეობა ამ თათბირის მომზადებისა და მოწყობაში ყველა ეტაპზე. პლენუმმა კვლავ დაადასტურა რუმინეთის პოლიტიკა, რომლის მიზანია თანამშრომლობის განვითარება ევროპაში, მთელი მსოფლიოს უშიშროებისა და მშვიდობის მიღწევა.

იმასთან დაკავშირებით, რომ მ. შენენკუ დაინიშნა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ, ჯანუუშმა გაათავისუფლა. იგი რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან. რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად არჩეულია მ. კონსტანტინესკუ.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ნ. ჩაუშესკუმ.

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲑᲝᲜᲨᲘ

ᲑᲝᲜᲜ, 22 ნოემბერი. (საკდესი). აქ მოეწყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, კანცლერ ვ. ბრანდტისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, ვიცე-კანცლერ ვ. შელის შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა არჩევნების შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალი მთავრობის შედგენასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კოალიციური მთავრობა ორივე პარტიის წარმომადგენელთა შემადგენლობით დასავლეთ გერმანიაში ხელისუფლების სათავეში იყო 1969 წლის შემოდგომიდან.

ბუნდესტაგის არჩევნებში, რომელიც წარსულ კვირას მოეწყო, მთავრობის კოალიციაში შემავალმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ საარძნობი გამარჯვება მოიპოვეს მთავარ მოწინააღმდეგეზე — ოპოზიციურ ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირ-ქრისტიანულ-სოციალურ კავშირზე, უწრუნველყვეს საპარლამენტო უმრავლესობა 48 მანდატის რაოდენობით.

მას შემდეგ, რაც აქ გაიმართა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფრაქციის სხდომა, ფრაქციის თავმჯდომარემ ვ. მიშნიკმა იმედი გამოთქვა, რომ კოალიციური მოლაპარაკების მსვლელობაში „უმოკლეს ვადაში იქნება მიღწეული ერთიანობა მთავრობის საქმიანი პროგრამის შესახებ“.

ᲑᲐᲜᲜᲙᲐ-ᲑᲘᲡᲢᲠᲘᲪᲐ

ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲠᲝᲜ

22 ნოემბერი. (საკდესი). თუ რა საშინელებანი მოაქვს ფაშიზმსა და აგრესიას კაცობრობისათვის, ეს კიდევ ერთხელ აღინიშნა ნაცისტ სამხედრო დანშაპვეთა გამომძიებელი ჩეხოსლოვაკიის სამთავრობო კომისიის პრეს-კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ქალაქ ბანსკა-ბისტრიცაში, სადაც 28 წლის წინათ სლოვაკიის ეროვნული აჯანყების ცენტრი იყო. ჩეხოსლოვაკიელ და უცხოელ ჟურნალისტებს გააცნეს იმ დანაშაულთა ასახსენ დამთავრებული გამოძიების შედეგები, რომლებიც ამ რაიონში ჩადიან სს-ის „განსაკუთრებულმა ჯგუფმა-14“ 1944 წლის დამლეგსა და 1945 წლის დამდეგს.

უცილობელი ფაქტები, რომლებიც დადასტურებულია მოწმეთა ჩვენებებითა და ნამდვილი დოკუმენტებით, ბრალად სდებენ მძიმე დანაშაულს კაცობრობის წინაშე ამ მხეცური დარბევის ორგანიზატორებსა და შემსრულებლებს.

როგორც განაცხადეს პრეს-კონფერენციაზე, გამოძიების მასალები, რომლებიც ამხილებენ სამხედრო დანაშავეებს, უახლოეს ხანში გადაეცემათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლებს,

ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲝ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ

21 ნოემბერი. (საკდესი). პარიზში გაიმართა ორი ყველაზე დიდი ლიტერატურული პრემიის მინიჭების ცერემონია, რომლებიც ყოველწლიურად ეძლევათ ხოლმე ფრანგული პროზის საუკეთესო ნაწარმოებებს.

კონკურსის პრემია მიენიჭა ჟან კარიერი რომანს „მაელი ქორი“, რენოდოს პრემია (საფრანგეთის ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელის ტ. რენოდოს სახელის მიხედვით) მიენიჭა კრისტოფერ ფრანკის რომანს „ამერიკის ღამე“. ორივე რომანი ეძღვნება თანამედროვე საფრანგეთს. ჟან კარიერი თავის წიგნში ასახავს გლეხის ოჯახის ისტორიას.

სხვანაირი სამყარო წარმოდგება მკითხველის წინაშე ოცდაათი წლის კრისტოფერ ფრანკის, წარმოშობით ინგლისელის რომანში „ამერიკის ღამე“. კრისტოფერ ფრანკმა განათლება მიიღო და თავისი სიცოცხლის მეტი ნაწილი გაატარა საფრანგეთში. რომანის სასეწყლოდება სიმბოლურია. როგორც ავტორი წერს, იგი განპირობა ამერიკელ კინემატოგრაფისტთა მეთოდმა ფილმის ღამის სცენები გადაიღონ დღისით, მზის - სინათლეზე. ფრანკის რომანში აღწერილია პარიზის ლათინური კვარტალის ნახევრად ბოჰემური ცხოვრება — ჟურნალისტების, ფოტოგრაფების, აქტიორების ცხოვრება.

ᲨᲠᲘ ᲚᲘᲜᲙᲝᲚᲜᲘ. საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა გაიხსნა კოლომბოში. გამოფენა ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

გამოფენაზე წარმოდგენილი ორი ათასზე მეტი ექსპონატი მნახველებს მოუთხრობს საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის, ყოფა-ცხოვრებისა და შრომის შესახებ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა კოსმოსური ხომალდების მოდელებმა.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ XVII ᲡᲔᲡᲘᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

21 ნოემბერი. ხაკდესის კორესპონდენტი ო. კარახანი იუწყება: იუნესკოს გენერალური კონფერენციის XVII სესიამ დამთავრა მუშაობა. დღეს გაიმართა საბოლოო პლენარული სხდომა, რომელიც აღინიშნა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენით: სესიის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა იუნესკოს წევრად.

მქუხარე ხანგრძლივი ტაშით მიესალმნენ სესიის მონაწილენი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ე. მოლტს, რომელმაც მადლობა გადაიხადა მისი ქვეყნის იუნესკოს წევრად მიღებისათვის და განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას განზრახული აქვს შეიტანოს თავისი ეფექტიანი წვლილი ამ საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობაში. - მან აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მხარს უჭერს იუნესკოს პრინციპებსა და წესდებას და მნიშვნელოვნად მიაჩნია წვლილი, რომელიც ამ ორგანიზაციას შეაქვს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

გამოვიდა რა საბოლოო სხდომაზე, საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. სმირნოვმა განაცხადა, რომ იუნესკოს ახლანდელი სესია ყოველმხრივ ნაყოფიერი იყო. გენერალურმა კონფერენციამ, ხაზი გაუსვა მან, მიიღო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებანი: მშვიდობის საქმეში იუნესკოს წვლილისა და მისი ამოცანების შესახებ კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეროვნული კულტურების დაცვის შესახებ, დამტკიცა დეკლარაცია კავშირგაბმულობის თანამგზავრთა გამოყენების პრინციპების შესახებ და განიხილა ზოგიერთი სხვა საკითხი. საბჭოთა კავშირი და ბევრი სხვა ქვეყანა, რომლებიც მოითხოვენ, რომ იუნესკოს ოფიციალურ ენად შეიტანონ ესპანური, ინგლისური, ფრანგული, ინდური, ჩინური, ალბანური, ბენგალური, ბირმული, ებრაული, ინდონეზიური, ირანული, ესპერანტული, ფინური, ფერეზული, ფორტუგალიური, ფენური, ფენური, ფენ

თეატრალური ხელოვნების კ ო რ ი ფ ე ე

კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის

სურათზე: თბილისის რკინიგზის ვაგზალი. შეხვედრა მოსკოვის თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან, რომლებიც კოტე მარჯანიშვილის საიუბილეო ზეიმში მონაწილეობისათვის ჩამოვიდნენ გუშინ თბილისში.

ვლ. ბინზუბურგის ფოტო.

უკვდავი შემოქმედება

კოტე მარჯანიშვილის გამოჩენა ქართული ხელოვნების ტალანტებით აკაფფებულ ცაზე არ იყო შემთხვევითი მოვლენა. ამას წინ უძღოდა ერის უდიდესი თეატრალური ტრადიციები, ურომლისოდაც არაფერი არ იქმნება; მას წინ უსწრებდა რეალისტური ქართული თეატრის აღორძინების მნიშვნელოვანი პროცესები.

მარჯანიშვილი შვა ქართულმა ხელოვნებამ, მისმა მაღალმა ჰუმანისტურმა ტრადიციებმა, რათა ქართული თეატრისათვის მარადიული გაზაფხული მოენიჭებინა.

მარჯანიშვილმა აღორძინა ძალგამოლეული ქართული თეატრი, განვითარების ახალი პერსპექტივები დაუსახა მას. თუ მანამდე ჩვენი თეატრი თავისი არსებობის საუკეთესო წლებშიც კი საქართველოს ფარგლებს არ სცილდებოდა, მარჯანიშვილმა გაბედულად გაარღვია ეს რკალი და ქართული თეატრი საუკეთესო რუსული და სახლვარგარეთული თეატრების სიმაღლეზე აიყვანა.

მან აღზარდა შესანიშნავი მსახიობების, მხატვრების, კომპოზიტორების, რეჟისორების, დრამატურგების, სცენის უკავშირდება ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის მაღალადმიანურ ტრადიციებს. უბადლო ნიჭი ყალიბდებოდა მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ბუმბერაზთა ლიტერატურული მემკვიდრეობისა და ჩვენი სცენის შეუდარებელ კომუშაკების მთელი თაობა. დღესაც ჩვენი სამშობლოს არაერთ მოწინავე თეატრში მუშაობენ რეჟისორები და აქტიორები, რომლებიც მარჯანიშვილის უშუალო მოწაფეები არიან.

მარჯანიშვილის თეატრალური, ხელოვნება უალრესად ჰუმანური ხელოვნებაა. იგი ორგანულად რიფეთა შემოქმედების უშუალო ზეგავლენით.

სპექტაკლმა ხელოვანსაც და მაყურებელსაც უნდა მიანიჭოს ესთეტიკური სიამოვნება, აკეთილშობილოს შემოქმედებითი ზეიმი, სიხარული, „თეატრი — ეს, უპირველეს ყოვლისა, დღესასწაული“, — ხშირად იმეორებდა მარჯანიშვილი.

შეიძლება ითქვას, რომ ეს აზრი მისი შემოქმედების ძირითადი დევიზი იყო.

მარჯანიშვილი თავის წმინდა მოვალეობად თვლიდა აქტიური მონაწილეობა მიეღო ჩვენი ერის მთელ კულტურულ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მხრივ მარჯანიშვილმა განაგრძო იმ შესანიშნავი ქართველი თეატრალური მოღვაწეების ტრადიცია, რომლებიც ამავე დროს თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებიც იყვნენ.

მაგრამ მთავარი პატრიოტული ვალი სამშობლოს წინაშე მარჯანიშვილმა, რა თქმა უნდა, მოიხადა როგორც შემოქმედმა. ქართული თეატრის მებაირახტრემ და უკვდავყო თავისი სახელი და შემოქმედება.

დოდო ანთაძე.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ს ა ი უ ბ ი ლ ე ო ზ ე ი მ ი ს მ ო ნ ა წ ი ლ ე თ ა ს ი ტ ყ ვ ა

გუშინ, 22 ნოემბერს, თბილისში ჩამოვიდნენ კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმის მონაწილენი მოძმე რესპუბლიკებიდან, აგრეთვე მოსკოვიდან, ლენინგრადიდან.

ვბეჭდავთ რამდენიმე ინტერვიუს ჩვენს სტუმრებთან.

ელენე გოგოლევა,

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა ჩამოვსულიყავი თბილისში და მონაწილეობა მემიღო ისეთი გამოჩენილი რეჟისორის საიუბილეო ზეიმში, როგორიც არის დიდი კოტე მარჯანიშვილი.

მარჯანიშვილის სახელი დაუვიწყარია ყველა იმათთვის, ვისაც ბედნიერება ჰქონდა ემუშავა ან უბრალოდ ესუბრა ამ რეჟისორთან. იგი იყო როგორც დიდი თეატრალი, ისე უაღრესად კეთილშობილი პიროვნება.

ჩემს ხსოვნაში წარმოშლილია ჩვენი ერთად მუშაობა მცირე თეატრში „დონ-კარლოსზე“. მე ბევრი ვისწავლე მისგან, როგორც რეჟისორისაგან, დღესაც ჩემს შემოქმედებითს პალიტრაში ბევრია მარჯანიშვილისეული.

მიხარია, რომ კვლავ შევხვდები ჩემს ქართველ მეგობრებს!

თავს დაბლა ვხრი ჩემი დიდი მასწავლებლის კოტე მარჯანიშვილის ტალანტის წინაშე.

ალექსანდრე ფეგრალსკი,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.

მოხარული ვარ, რომ თბილისში, მარჯანიშვილის საიუბილეო დღეებში შევხვდები ჩემს ქართველ მეგობრებს, თეატრალური საქართველოს წარმომადგენლებს, რომელთა ნიჭის დიდი თაყვანისმცემელი ვარ. ზეიმზე ჩამოვლენ აგრეთვე სტუმრები მოძმე რესპუბლიკებიდან. დიდი კოტე მარჯანიშვილი ნამდვილად ღირსია ასეთი პატივისა!

ლიუდმილა რუბლევსკაია,

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

მე ხომ ძველი თბილისელი ვარ. ამიტომ თბილისთან და თბილისელებთან შეხვედრა ეს არის. შეხვედრა ჩემს ახალგაზრდობასთან, იმ ტკბილი წლების გახსენება, ქართულ თეატრში რომ მიმუშავია.

მარჯანიშვილი ყველა დროის დიდი რეჟისორია. ამ დღეებში ერთხელ კიდევ მოვიგონებთ და პატივს ვცემთ მის ნათელ ხსოვნას.

ვიქტორია ხალიფი,

მოსკოვის ბახრუშინის სახელობის თეატრალური მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

მესამედ ვარ თქვენს დედაქალაქში. მარჯანიშვილის საიუბილეო ზეიმში მონაწილეობა დიდ პატივად მიმიჩნია, ვფიქრობ, ეს დღეები მეტად საინტერესო და ნაყოფიერი იქნება. თეატრალური მუზეუმი, სადაც მე ვმუშაობ, საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ამზადებს თეატრალურ გამოფენას. საკმაოდ დიდ ადგილს ამ გამოფენაზე დაიკავებს საქართველოს თეატრალური ცხოვრება, კერძოდ სთანადოდ აისახება კოტე მარჯანიშვილის საიუბილეო დღეებიც.

სიყვარულის ნერგი

ერის სულიერ ცხოვრებაში მარჯანიშვილის სახელი მსოფლიდ დიდად რნეულ პიროვნებათა საზომით გაიზომება. გენიალური რეჟისორი თაობათა ხსოვნაში იცოცხლებს როგორც დიდი გზაგამოვლილი ერის შემოქმედებითი ენერგიის საამაყო გამოხატულება.

თუ მარჯანიშვილის ცხოვრების გზას დავაკვირდებით, ადვილად შევნიშნავთ, რომ მისი დიდი ბიოგრაფია განუყოფელია ასევე დიდი გეოგრაფიისგან.

ძნელია დავასახელოთ თეატრალური ხელოვნების დარგში მეორე ისეთი პიროვნება, რომლის შემოქმედებაში ესოდენ ბუნებრივად ერთმანეთთან შერწყმულიყო „ეროვნული“ და „ინტერნაციონალური“, „მშობლიური“ და „ზოგადსაკაცობრიო“.

მშობლიური ყვარლის მთებთან შესისხლხორცებული განცდა არასოდეს უმღიდა მარჯანიშვილს სხვა გუთხის სილამაზის ამომწურავად წვდომას. ჭაბუკობის წლებიდან დურუჯის ბობოქარი ტალღების მოტრფიალეს შესანიშნავად ესმოდა უკრაინის წყარ ღამეში ჩქრქალად მოლაპლაპე დნეპრის განსხვავებული ჰოეზია.

მარჯანიშვილის მდიდარი ბიოგრაფია ამავე დროს უაღრესად მრავალსახოვანია, მეტად ნაირგვაროვანი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ კიევში ყოფნისას ვეცნობოდით დიდი რეჟისორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთ-ერთ ერეულ შორეულ ნაბიჯს, მის სახელთან დაკავშირებულ გარემოს, ცალკეულ ადგილებს.

... შევჩერდეთ ბულგარი, სასტუმრო „უკრაინა“. 1919 წელს აქ იყო სრულიად უკრაინის თეატრალური კომიტეტი. კიევის თეატრების მთავარი რეჟისორი ამავე დროს სრულიად უკრაინის თეატრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეც იყო.

ამ კომიტეტის მრავალმხრივ მუშაობაში ყურადსაღებია თეატრალური კურსების გახსნის ფაქტი. ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის მძვინვარების ჟამს მარჯანიშვილი საფუძველს უყრის თეატრალური განათლების საქმეს.

გავიხსენოთ 1920 წელს კომკავშირის III ყრილობაზე ლენინის ისტორიული გამოსვლის შინაარსი, ახალგაზრდობისადმი მიმართული მოწოდება კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის მთელი მარაგის ათვისების აუცილებლობისა და ცხადი გახდება, თუ რა გულდაგულ მისდევდა მარჯანიშვილი დროის ყოველ ახალ მოთხოვნას.

სამოქალაქო ომის პერიოდის უკრაინაში მარჯანიშვილს კიევე ერთი ოფიციალური პოსტი ეჭირა. იგი იყო ლენინის სახელობის თეატრის კომისარი და სამხატვრო ხელმძღვანელი. აი სწორედ აქ დაიბადა ის სპექტაკლი, რომელიც საჭოთა თეატრალური კულტურის ისტორიაში ცოცხალ ლეგენდად იქცა. ეს იყო 1919 წელს კ. მარჯანიშვილის მიერ კიევში დადგმული ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“.

ამ ისტორიული სპექტაკლის 50 წლისთავთან დაკავშირებით უკრაინელმა მეგობრებმა გამოსცეს კრებული, რომლის სათაური ზუსტად გამოხატავს მარჯანიშვილისეული სულიკვეთებით გამსჭვალული თეატრალური წარმოდგენის ხასიათს — „სპექტაკლი, რომელიც ბრძოლისაკენ მოუწოდებდა...“ მართლაც ამ სპექტაკლის ძალას ვერავითარი საბრძოლო მოწოდება ვერ შეედრებოდა...

აღსანიშნავია, რომ თეატრალური კიევი გაეცნო მარჯანიშვილს გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ როგორც სოლოვცოვის თეატრში მოწვეულ რეჟისორს.

სოლოვცოვის სახელი საკმაოდ პოპულარული იყო. ნემიროვიჩ-დანჩენკოს აზრით, სოლოვცოვის თეატრი გამოირჩეოდა ფრიად საგულისხმო აქტიორული ძალებით და თავისი დროისათვის პროგრესული მიმართულებით. როცა 1902 წელს სოლოვცოვის გარდაცვალების შემდეგ თეატრის ანტრეპრენიორობა ითავა ნამყოფნამ მსახიობმა დუვან-ტორჩოვმა, იგი თეატრის პრესტიჟის განსამტკიცებლად შეეცადა მოეწვია ის ხმაგავარდნილი რეჟისორი, რომლის ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს ეცილებოდნენ დიდი თეატრალური ტრადიციების მქონე ქალაქების ანტრეპრენიორები. ეს ძვირად ღირებული რეჟისორი კონსტანტინე მარჯანიშვილი გახლდათ.

ეს ის დრო იყო, როცა რევოლუციის წლებში თეატრალურ ხელოვნებას მოედო საერთო სულიერი დაცემულობითა და შინაგანი კრიზისით შეპირობებული უმოძრაო, გაყინული, გაშეშებული სურათების უსიცოცხლო წარმოსახვის მანერა, დამკვიდრდა უმოქმედო, სტატიკური თეატრის სტილი.

კიევის სოლოვცოვის თეატრში მარჯანიშვილის ინიციატივით გამართული მბრწყინავი სცენა მრავალისმეტყველია. ამ ვითარებაში ნამდვილ გამოწვევად ჩანდა ეს მოძრავი სცენა ყოველგვარ მოძრაობათა ჩასმაზით ცნობილ 1907 წელს. და მაინც მარჯანიშვილი მარჯანიშვილი არ იქნებოდა, რომ ძიებისადმი შემოპრუნება მხოლოდ მბრწყინავი სცენის ამოქმედებით აღენიშნა.

პოლიტიკური რეაქციისა და რეალისტური ხელოვნების უარმყოფელი „იზმებით“ საყოველთაო გატაკების პერიოდში მარჯანიშვილი შეიმუშავებს საკანგებოდ ახალგაზრდობისათვის ვათალისწინებულ კლასიკურ რეპერტუარს და კვირა-დილობით სპექტაკლის დაწყების წინ გამოჭყავს მოწვეული ლექტორები. ასე რომ ფაქტიურად მარჯანიშვილის ინიციატივით ახალგაზრდობისათვის იკითხება მთელი კურსი კლასიკური დრამატურგიისა, რომელსაც თან სდევს სცენური ილუსტრაცია. ამ წამოწყებას იმდენად სერიოზული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ აქ წაკითხული ლექციების კრებულიც კი გამოიცა მარჯანიშვილის წინასიტყვაობით.

ამ კრებულს იხსენებს და მარჯანიშვილის ამ თაოსნობას ხაზს უსვამს თანამედროვე ეპოქა. ეს ეპოქა ეს ეპოქა — ეს ეპოქა ... ეს ეპოქა ... ეს ეპოქა ...

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი



ეს ფოტოსურათი — „ფეკვა ქართული“ „კომუნისტის“ კონკურსზე გამოგზავნა ფოტოკორესპონდენტმა ბ. დადვაძემ.

ეროვნული ფილეების რესპუბლიკური ფესტივალი

თბილისში ხუთ დღეს მიმდინარეობდა მოყვარულთა ფილმების რესპუბლიკური ფესტივალი, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. ფესტივალი მოაწყვეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველომ და საქართველოს კინემატოგრაფფესტივალ კავშირმა.

ფესტივალის დღეებში გასინჯეს 40-ზე მეტი ფილმი, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის კინოთვითმქმედების წარმომადგენლებმა შექმნეს.

დათვალიერებაში მონაწილეობდნენ ავრეთვე მოსკოვის, ლენინგრადის, მოძმე რესპუბლიკების — უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, უზბეკეთის, ლატვიის, ესტონეთის კინომყვარულები.

ჟიურიმ სსრ კავშირის სახალხო არტისტის გ. ასათიანის თავმჯდომარეობით შეაჯამა ფესტივალის შედეგები. საუკეთესოდ ცნეს **და პირველი პრემიებით** დაჯილდოვდნენ რ. გიორგობიანისა და მ. დროზდოვის ფილმი „ღიმილია“, დ. ჩახელიძისა და ლ. ილურიძის „ულვრტიური“, ზესტაფონის ფეროშენაღნობთა ქარხნის სტუდიის ფილმი „მდნობელთა სამი თაობა“. **მეორე პრემიებით** დაჯილდოვდნენ გ. ჯავახიშვილის ფილმი „გზები“, თბილისის გორკის სახელობის კლუბის სტუდიის ნაწარმოები „იმედის საათი“, გ. აბელაშვილისა და ი. ვაისმანის ფილმი „ეკ კიროველი ვარ“, ბ. შოშიტაშვილის ფილმი „ომამავლის ტრანსპორტი“. **მესამე პრემიები** მიიღეს შემდეგმა ფილმებმა: დ. კეკელიძისა და მ. ფრანგიშვილის „ჯარისკაცის დედამ“, კინომყვარულთა რესპუბლიკური შემოქმედებითი კლუბის ნაწარმოებმა „ალო, ჩვენ ეეძებთ“, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდიის ფილმმა „მედიკოსა სამჭედლო“. პ. გორდელაძის ფილმმა „ამღერებული თოხა“.

მოყვარულთა ბევრ ნამუშევარს ხვდა წამახალისებელი დიპლომები და პრიზები.

ფილმებმა, რომლებმაც პრემიები დაიმსახურეს, აგრეთვე მოყვარულთა ფილმების პირველი რესპუბლიკური კონკურსის გამარჯვებულმა კინოსურათებმა — ჯ. გოგიჩაიშვილისა და ნ. გოცირიძის „ყიყლიყუმ“, თელავის კინომყვარულთა სტუდიის ნაწარმოებმა „დაბადების დღე“ მოიპოვეს უფლება, რომ მონაწილეობდნენ სრულიად საკავშირო ფესტივალში. ეს ფესტივალი მოსკოვში გაიმართება მიმდინარე წლის დეკემბერში. (საქინფორმი).

ეროვნული ფილეების რესპუბლიკური ფესტივალი

ორი რეპლიკა

ნუთუ ასე ძნელია?

ქუთაისში არსებობს ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი, რომელიც ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფილიალია. იგი ტელმანის ქუჩაზე მდებარეობს. სტაციონარული ექსპოზიცია საინტერესოდ არის მოწყობილი. მუზეუმს დათმობილი აქვს ერთი ოთახი, ხოლო მეორე ოთახი, რომელშიც დაბადა დიდი კომპოზიტორი, დაკავებულია მობინადრის მიერ.

ცნობილია, რომ 1971 წელს ქართველმა ხალხმა საბჭოთა კავშირის საზოგადოებრიობასთან ერთად იზეიმა ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავი.

ქუთაისსაც მრავალი სტუმარი ეწვია. მასპინძლებმა მათ სახლ-მუზეუმი — ეს მშვენიერი რელიკვია ზემოაღნიშნული მიზეზის გამო ვერ დაათვალიერებინეს.

ამიტომ ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად შექმნილი მთავრობის საიუბილეო კომიტეტის 1971 წლის 20 ივლისის სხდომის ოქმში ჩაიწერა: აღნიშნოს, რომ ძ. ქუთაისის აღმასკომმა დღემდე ვერ უზრუნველყო ქუთაისში ზ. ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმისათვის ერთი ოთახის გათავისუფლება.

სამწუხაროდ, 1972 წელიც თითქმის მიიწურა, და იმ ერთ პატარა ოთახში, რომელშიც დაიბადა ქართველი ერის სამამაო შვილი, დიდი ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, დღესაც მობინადრე ცხოვრობს.

ნუთუ ასე ძნელია იმ ოთახის გათავისუფლება და მობინადრის დაკმაყოფილება შესაფერი ბინით?!

ვ. ჩინჩალაძე,
თბილისის ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი.

□

ვინ გაგვცემს პასუხს?

დიდი ხანი არ არის, რაც ბოლნისში ავტომატური ტელეფონების სადგური დაამონტაჟეს. სატელეფონო მომსახურებაში ამ სიახლემ ადგილობრივ მოსახლეთა სიხარული გამოიწვია. მაგრამ, ამავე დროს გაჩნდა ხერიოზული სიძნელეებიც. ტელეფონების სადგურს არ გააჩნია ცნობათა ბიურო, სადაც შეიძლებოდეს ამა თუ იმ ნომრის გაგება. ეს განსაკუთრებით უხერხულ მდგომარეობაში აყენებს რაიონში სტუმრად ჩასულ მოქალაქეებს.

თუ დარეკავთ „0-6“, ხუთი, ათი წუთის შემდეგ, თქვენს თხოვნაზე ასეთ პასუხს მიიღებთ — დაღეთ ყურმილი და მეტი აღარ დარეკოთ, თუ ძალიან გაინტერესებთ, აკრიფეთ 23-10 და იქ გეტყვიან საჭირო ნომერს.

და თქვენც გახარებული კრეფთ — 23-10-ს.

— თქვენ რა, საქმე შემოგელიათ. თუ ნომრის გაგება გსურთ, დაურეკეთ 0-6-ს... ასე გაუთავებლად შეიძლიათ რეკოთ დილიდან საღამომდე, პასუხს კი, სულ ერთია, ვერ მიიღებთ.

როგორც შემდეგ გამოირკვა, აღნიშნულ ტელეფონებთან სხვიდან ავტომატური საფარული თანამშრომლები ქეთევან ტატიაშვილი და ლუბა მადინაშვილი, რომლებსაც დაავალებული აქვთ წესიერი პასუხის გაცემა, მაგრამ მათი პირადი კაპრიზებით ასეთ რამეს ტყუილუბრალოდ ნუ ეელით.

ამჯერად ალბათ პასუხს კაკშირვამბულობის ბოლნისის განყოფილების ხელმძღვანელები გაგვცემენ.

ზ. მერკვილაძე.
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

სადაც მოგზეერალი ცხოვრობდა

ნ. ჟუმსიაშვილის მემორიალური სახლი თბილისში

ეს არ ჰგავდა ჩვეულებრივ კონცერტს. დარბაზში შეკრებილნი ფიზზე მდგომნი უსმენდნენ ზაქარია ფალიაშვილის ცნობილ არიებს. შემსრულებელთა — პ. ამირანაშვილის, პ. თოიძის, ნ. კირვალიძის ხელოვნებით . მოხიბლული მსმენელნი დიდხანს უარავდნენ მათ ტაშს. შემდეგ კი ძველი ფირფიტები აყალერდა. დარბაზში კვლავ ფალიაშვილის დიდებული პანგები დაირხა. ამჯერად სმენას აკაკობდა „თავო ჩემო“, გამოჩენილი ქართველი მომღერლის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნიკო ჭუმსიაშვილის შესრულებით.

ბევრს თვალზე ცრემლი მოადგა, ბევრის მეხსიერებაში კვლავ გაცოცხლდა ნიკოს სახე. მისი ვაკაციური გარეგნობა. აქ ხომ უმეტესად მისი ახლობლები, მეგობრები, თუ ნიკოს დიდი ნიჭის თაყვანისმცემელნი იყვნენ შეკრებილნი. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ლეგენდასავით გაეგონათ ამ დიდებული შემოქმედის ნიჭის შესახებ.

ისინი ამ დღის ნ. ჭუმსიაშვილის ყოფილ სახლში — ათარბეგოვის ქ. 2-ში შეიკრიბნენ, რათა აღენიშნათ სახელოვანი თანამემამულის დაბადების 80 წლისთავი. ყველაზე დიდი საჩუქარი კი ამ იუბილესათვის მომღერალს მისმა ასულმა, საქართველოს დამსახურებულმა ეკიმმა, მედიეინის მეცნიერებათა დოქტორმა როდამ ჭუმსიაშვილმა მიუძღვნა. მან მამისეული სახლში შექმნა თავისებური მუზეუმი. წარმოადგინა მის მიერ წლების განმავლობაში დიდი სიყვარულითა და სიფაქიზით შეკრებილი ნიკოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები, ფოტოსურათები, წერილები, ალბომები, პროგრამები, საოპერო ნაწარმოებთა კლავიერები, ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი რეცენზიები, რომელიც დამთავალიერებლებს ნათელ წარმოდგენას აძლევს ნიკო ჭუმსიაშვილის დიდ შემოქმედებითს გზაზე.

მემორიალურ სახლში შეკრებილი მასალები აგრეთვე დიდ დახმარებას გაუწევს მუსიკის მკვლევართაც. აქ მარტო ნიკოს დამსახურება კი არ არის დემონსტრირებული, მთელი მისი შემოქმედებითი გარემოებაა ნაჩვენები, ის ადამიანები არიან წარმოდგენილნი, რომელთთა გვერდითაც ჭუმსიაშვილი იღვწოდა, მუშაობდა, ჩვენი საუკუნის 20-40-იანი წლების საქართველოს ფოკალური ხელოვნების განვითარების ერთგვარი ისტორიაც არის მოცემული.

ექსპოზიციაშია ის ნივთები, რომელნიც ნიკოს ჰკუთვნიან და მისი ხელი შეხებია, ქალიშვილს არც მამაპაპისეული ორხვის სასლი დავიწყებია, მამაპაპათა ნაფუძარი, საითაც ნიკოს ყოველთვის მიუწევდა გული. აქ 1892 წლის 18 ნოემბერს დაიბადა ნიკო ჭუმსიაშვილი და აქვე 1942 წელს დასასრულა თავისი სიცოცხლე.

ექსპოზიცია ნიჭიერად და გემოვნებით არის გაფორმებული, რაშიც რიდამს დიდი დახმარება გაუწია საქართველოს დამსახურებულ მხატვარმა კ. ჭანკვეტაძემ. ცალკე სტენდები აქვს დათმობილი მომღერლის მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდს. აი იმ წლების ამსახველი ფოტოსურათები, როცა ნიკო ყირიმში, იალტის მობაღეობა-მევენახეობის სასწავლებელში სწავლობდა. მწერალი დ. თურდოსპირელი, რომელმაც 28 წლის ჭაბუკი მიიყვანა ზაქარია ფალიაშვილთან. სახელოვანმა კომპოზიტორმა მოუწონა მას ხმა. მისი რჩევით ნიკო მეცადინეობას იწყებს პროფესორ ეკვენი რიადნოვის სტუდიაში.

საქართველოს ბუნებულად წოდებული ვანო სარაჯიშვილი, ნიკოს საყვარელი მომღერალი, ვინც მისი ნიჭი აღიარა. ვანოს უკანასკნელი მალხაზი და მისი პირველი გამგრძელებელი — ნიკო მალხაზის როლში.

ეს იყო 1924 წ. 26 ნოემბერს. ნიკო, ჯერ კიდევ მეოთხეკურსელი სტუდენტი მალხაზის როლში პირველად წარსდგა ვანოს სკას“, ჟ. ბიზეს „კარმენს“; დ. არაყიშვილის — „შოთა რუსთაველს“, კ. სენ-სანსის „სამსონ და დალილას“.

აი ზ. ფალიაშვილი როგორ შეფასებას აძლევდა ნიკოს შემოქმედებას ჯერ კიდევ დასაწყის პერიოდში: „ჩემი ოპერები საცოდავი ვანო სარაჯიშვილის სიკვდილის შემდეგ მგონია ობლად დარჩებოდა, — სწერდა იგი შ. დადიანს მოსკოვში, — მაგრამ გამოვძებნეთ მომღერალი ჭუმსიაშვილი, რომელიც ჩინებული აბესალომი და მალხაზი აღმოჩნდა. საზოგადოებას მეტად მოსწონს და ღირსიც არის ქებისა, როგორც ჩინებული ხმის მქონე“.

დამთავალიერებელი ეცნობა ნიკოს საკონცერტო მოღვაწეობას, 1937 წელს მოსკოვში გამართულ ლიტერატურისა და ხელოვნების“ დეკადაზე ქართული საოპერო ხელოვნების წარმატებას, რომელშიც ნ. ჭუმსიაშვილს დიდი წილი ედო.

— მადლობის მეტი რა გვეთქმის ამ შესანიშნავი მუზეუმის მოწყობისათვის, — აღნიშნა მემორიალური სახლის გახსნაზე სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, — აქ ცოცხალი ნიკოს გარემოა წარმოდგენილი, ყველგან ხელავთ მის ცეცხლოვან თვალებს, მის საყვარელ გმირებს. ეს მუზეუმი კულტურის კიდევ ერთი შესანიშნავი კერაა ჩვენს ქალაქში, და სასურველია საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილ ამ მუზეუმს ყურადღება მიაქციოს ჩვენმა კულტურის სამინისტრომ, რომ იგი მისაწვდომი გახდეს ფართო საზოგადოებრიობისათვის.

...დარბაზში გაისმის ზ. ფალიაშვილის უკვდავი მუსიკის ჰანგები. „დაისს“ „აბესალომ და ეთერი“ ენავლება, ყელის ნიკოს ობელი და გულშიჩამწვდომი, ძლიერი ხმა...

ლ. ტატიშვილი.

• • •

სურათზე: ნ. ჭუმსიაშვილი აბესალომის როლში.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ვინ იცნობდა ირინე სხირტლაძეს?

აი რა გვიამბო გმირი გოგონას ნათესავმა

როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იცოდნენ, ვარშავაში, პოლონესკის სასიფლაოზე, სადაც გაინსვენებენ პოლონეთის რჩეული ადამიანები, დაკრძალულია ქართველი გოგონა ირინე სხირტლაძე. მის საფლავს ამშვენებს წარწერა: „ირინა სხირტლაძე, ირკა, მსროლელი, 16 წლის, დაჯილდოებულია მამაცობის ჯვრით“.

ჩვენ დავინტერესდით გაგვერკვია გმირი ქართველი გოგონას ვინაობა. ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწიეს როგორც პოლონელმა, ისე ქართველმა მეგობრებმა, „კომუნისტის“ მკითხველებმა

„**კომუნისტის**“ ფურცლებზე მხოლოდ მეოთხე წერილის გამოქვეყნების შემდეგ მივაკვლიეთ ირინე სხირტლაძის ნათესავებს. დავადგინეთ, ვინ იყვნენ მისი მშობლები, ახლობლები, ნათესავები.

...რედაქციაში ტელეფონმა დარეკა. უცნობი ქალი მთხოვდა მიესულოყავი მის ოჯახში, მპირდებოდა, რომ გადმომცემდა ფოტოებსა და საბუთებს ირინე სხირტლაძის მშობლებსა და ახლობლებზე.

...კარი შეაღებით მოსილმა ქალარა ქალმა გამიღო. გამეცინ — პენსიონერი ანიკო ფიცხელაური. ეს მეტად აღელვებული იყო ირინეს და მისი მამის ბედით. ქალი ცრემლებს ძლიეს იკავებდა, ირინეს მამა არკადი სხირტლაძე ზომ ერთ დროს მისი ოჯახის წევრი იყო.

— „გორში ჩვენ სპირიდონ სხირტლაძის ოჯახის მეზობლად ვცხოვრობდით, — დაიწყო თხრობა ჩემმა მასპინძელმა, — მათ რკინიგზის სადგურის უკან ეკავათ ბინა. სპირიდონი, როგორც მახსოვს, 1909 წელს ჩამოვიდა გორში სამუშაოდ. ის ფერშალი იყო და მომსახურებას უწევდა არა მარტო რკინიგზელებს, მთელი გორის მახლობლად მდებარე სოფლების მცხოვრებლებსაც. სპირიდონი იყო მეტად კეთილი, და თავისი საქმის კარგი მცოდნე. მისი მეუღლე მარიამ ბოგდანის ასული სხირტლაძეც ფერშალი იყო და ეხმარებოდა სპირიდონს ავადმყოფების მკურნალობაში.

სპირიდონსა და მარიამს ჰყავდათ ორი ვაჟი. უფროსი გიორგი თითქმის ჩემი თანატოლი იყო, 1902 წელს დაბადებული, არკადი კი გიორგიზე სამი წლით უმცროსი იყო. ბავშვები ერთად ვიზრდებოდით.

მახსოვს, მაშინ დიდი გაჭირვება იყო. ხშირად მძინვარებდა სხვადასხვა ეპიდემია. განსაკუთრებით მუსრს ავლებდა ხალხს პარატიფიანი ტიფი. ამ ავადმყოფობამ არც მე დამინდო. სპირიდონი მკურნალობდა და მალე ფეხზეც დამაყენა.

პარატიფიანმა ტიფმა არც თვით მკურნალი დაინდო. ავადმყოფისაგან შეხვდა ტიფი და ათ დღეში გარდაიცვალა.

დიდი ტრაგედია დატრიალდა ოჯახში. ახალგაზრდა ქალი დარჩა ორი ბავშვის ანაბარა. მარიამი თბილისში დადგოდა, ფერშლად დაიწყო მუშაობა ამიერკავკასიის რკინიგზის მე-5 უბანზე. აქ მან სულ 5 თვეს იმუშავა. მასაც ავადმყოფისგან შეხვდა პარატიფიანი ტიფი და გარდაიცვალა. მარიამი ჩამოასვენეს გორში და დაკრძალეს გორის სასაფლაოზე, თავისი მეუღლის გვერდით.

დარჩნენ ბავშვები ობლად. მათი აღზრდა დედის დედამ იკისრა. ის თბილისში ცხოვრობდა და ბავშვებიც თავისთან გადაიყვანა. გიორგიმ მუშაობა დაიწყო. მალე ჩვენ დავქორწინდით, ეს იყო 1920 წელს. არკადის ძალიან უყვარდა თავისი ძმა და დღე ისე არ გავიდოდა, რომ ჩვენთან არ მოსულიყო.

ერთ დღეს გიორგი შეწუხებული მოვიდა სახლში. გაიგე, არკადი თავის ამხანაგთან ერთად სადღაც წასულა, არავინ იცის, საით გაემგზავრნენო. მაშინ ის ასე 16 წლისა თუ იქნებოდა.

გავიდა ასე ორი წელი. არკადისა არაფერი ვიცოდით. ერთ დღეს მისგან წერილი მივიღეთ. გვწერდა თავის გაჭირვებაზე, როგორ მოგზაურობდა ერთი ქალაქიდან მეორეში. და ბოლოს პოლონეთში დასახლებულა. შემდგომ წერილში გვატყობინებდა, რომ მსახურობდა პოლონეთის ავიაციაში. ვწერდით ჩვენს ამბებსაც. მაშინ უკვე ორი ვაჟი მყავდა. ერთს თენგიზი ერქვა, ის უბედური ცხრა წლისა დამეღუპა, მეორეს კი — ბეჟანი.

მოგვწერა, რომ შეირთო ცოლი, რომელსაც ქართულ ენას ასწავლიდა. ამის დასადასტურებლად იმავე ბარათში არკადის ცოლს ქართულ ენაზე მიეწერა რამდენიმე სიტყვა და გვპირდებოდა, რომ შემდგომში წერილებს ქართულად გამოგვგზავნიდა.

1928 წელს გამოგზავნილ წერილში არკადიმ სიხარულით შეგვატყობინა, რომ შეეძინა ქალიშვილი, რომელსაც ირინე დაარქვა, შემდგომში კი თავის ცოლშვილთან გადალებული ორი ფოტოსურათი გამოგვგზავნა, ერთში მათ საზაფხულო ტანსაცმელი აცვიათ, მეორე ფოტოზე კი ირინე უკვე მოზრდილია, ასე 8-9 წლისა იქნება, ზამთრის პალტო აცვია, გოგონას სახეზე ბედნიერების ღიმილი დასთამაშებს. აქვე წერილში არკადი გვატყობინებდა, მალე მეორე შვილი შეგვეძინებაო და თუ ვაჟი იქნა, აუცილებლად გიორგის დავარქმევ, თუ გოგო — ქრისტინესო. მინდა ჩემ შვილებს ქართული სახელები ერქვათო.

1933 წელს უბედურება მეწია. ჩემი მეუღლე ინჟინერი იყო. მას წარმატებით ჰქონდა დამთავრებული საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი და ხშირად უხდებოდა მივლინებებში ყოფნა. ერთხელ ის მივლინებიდან ავადმყოფი დაბრუნდა. ექიმმა მაშინვე დაუსვა ენიეიმიური სენის დიაგნოზი. როგორც კი გიორგიმ ეს ამბავი გაიგო, გრძნობა დაკარგა, მალე გარდაიცვალა კიდეც.

არკადის მივწერე ჩემი უბედურების ამბავი. მივიღე მისი სამძიმრის ბარათი. ახლა ის უფრო ხშირად მწერდა წერილებს, ამანათებსაც მიგზავნიდა. ახე გაგრძელდა ჩვენი მიმოწერა **1935-36** წლამდე. შემდეგ კი მისგან აღარაფერი შემატყობა.

მოხუცს უჭირდა საუბარი, ხშირად ჩერდებოდა, მისი სათნო სახისათვის მწუხარებას თავისი დაი დაესვა.

„ამ საშინელმა ომმა ჩემი ერთადერთი ვაჟი ბეჟანიც შეიწირა, — განაგრძო მან თხრობა, — 1943 წლის 16 ოქტომბერს დაიღუპა მელიტოპოლში და იქვე საძმო საფლავზეა დაკრძალული“, — დაასრულა ნაამბობი ჩემმა მასპინძელმა.

ეთვალიერებ ანიკო ფიცხელაურის მიერ საგულდაგულოდ შენახულ ფოტოებს, გაცრეცილ სხირტლაძეების დოკუმენტებს. აი სპირიდონ სხირტლაძის ნათლობის მოწმობა. რომელიც გაცემულია თბილისში მცხოვრები გლეხის ფირალ სხირტლაძის სახელზე. საბუთიდან ირკვევა, რომ სპირიდონ ფირალის-ძე სხირტლაძე დაბადებულა 1876 წელს. მეორე საბუთი გაცემულია ქუთაისის სასწავლებლის მიერ, სადაც 1908 წელს სპირიდონ სხირტლაძეს დაუმთავრებია საოფთიაქო საფერშლო სკოლა, ერთ-ერთ დოკუმენტში სპირიდონ სხირტლაძე თავის საკუთრებას რაჭაში, სოფელ მრაველძალში გადასცემს ბიძაშვილებს ალექსი, დავთი, გიორგი სხირტლაძეებს.

ასე გაირკვა ვარშავის აჯანყების მონაწილის, გმირი გოგონას ირინე სხირტლაძის ოჯახის ამბავი. ირინე გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ბედის უკუღმართობამ ისინი თავიანთ ქვეყანას დააცილა, მაგრამ სამშობლო არ იიწყებს თავის შვილებს, როგორც პოეტი ხატოვნად ამბობს —

„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“.

ლარისა ხუციური.

სურათზე: ირინე სხირტლაძე ბავშვობაში.

ფეხბურთი — ორი ჩემპიონის მატჩი

XXXIV კიეველობის ფინიში

საბჭოთა ფეხბურთის ახალმა ჩემპიონმა — ვოროშილოვგრადის „ზარიამ“ გათამაშების უკანასკნელი მატჩი გასული წლის ჩემპიონთან — კიევის „დინამოსთან“ ჩაატარა.

გათამაშების საბოლოო ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ჭ.
„ზარია“	30	15	10	5	52-30	40
„დინამო“ (კ.)	30	12	11	7	52-38	35
„დინამო“ (თბ.)	30	12	11	7	41-34	35
„არარატი“	30	12	10	8	38-29	34
ცსკა	30	15	4	11	37-33	34
„დნეპრი“	30	12	10	8	37-37	34
„ზენიტი“	30	11	11	8	44-30	33
„დინამო“ (მნ.)	30	10	11	9	27-28	31
„ტორპედო“	30	11	9	10	31-33	31
„დინამო“ (მ.)	30	12	6	12	39-35	30
„სპარტაკი“	30	8	10	12	29-30	26
სკა	30	8	10	12	31-35	26
„ქაირატი“	30	6	14	10	23-27	26
„ყარაბაღი“	30	8	8	14	27-43	24
„ლოკომოტივი“	30	6	9	15	29-48	21
„ნეფტჩი“	30	6	8	16	28-55	20

ჭადრაკი

ტურნირებზე...

ბაკო

მეოთხე ტურის პარტიების დიდი უმრავლესობა გადაიდო, ხოლო გრიგორიან-ტალის პარტია გამოტოვებულ იქნა მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ავადმყოფობის გამო.

მოსკოველმა ლევინმა სამი რიგითი ყაიმის შემდეგ მეოთხე ტურში სძლია ოდესელ ოსტატ ალბურტს. ეს ალბურტის პირველი დამარცხებაა. ამრიგად, ლევინმა 4 შესაძლებლიდან 2,5 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

ლიდერობას კი კვლავინდებურად მუხინი (ალმა-ატა) ინარჩუნებს, რომელიც შავებით სწრაფად შეუთანხმდა ყაიმზე კიეველ ოსტატ ჟიდკოვს. ახლა მუხინს 4 შესაძლებლიდან 3 ქულა აქვს.

ზედიზედ მეოთხე პარტია დაასრულა ყაიმით საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა სავონმა — ამჯერად კაპენგუტთან.

გადადებულ პარტიებში ფურმანს მოსაგები პოზიცია აქვს შამკოვიჩთან, ხოლმოვს — უპირატესობა ეჭლების ენდშპილში ჯინჯიხაშვილთან, ბაგიროვს — ზედმეტი პაიკი გუფელდთან, ბალაშოვს — ორი ზედმეტი პაიკი ბრონშტეინთან. გადაიდო აგრეთვე რაშკოვსკი-ტუკმაკოვის, ვასიუკოვ-რაშუკევიჩის და კუზმინ-ზილბერშტეინის პარტიები.

ტოლიატი

13 ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრებისას ყაიმზე შეთანხმდნენ ბორისენკო-ხაუნინა, რუბცოვა-კისლოვა, რანიკუ-კოზლოვსკაია, მედიანიკოვა-მარტჩიანი, კოზლოვსკაია-იდელჩიკი.

კონპლიო